დანართი 3

ხონის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

მუნიციპლიტეტის მერი: ლადო ჯურხაძე

საანგარიშო პერიოდი: 2025 წლის 1 იანვარი - 2025 წლის 30 სექტემბერი

ანგარიშის ტიპი: რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. **მუნიციპალიტეტის მერმა მერიის ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში განახორციელა შემდეგი საქმიანობა:**

ხონის მუნიციპალიტეტის მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას.

მერია საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს, მოქმედი კანონმდებლობისა და „ხონის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების" შესაბამისად.

ხონის მუნიციპალიტეტის მერია 2025 წლის 9 თვის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა სახელმწიფო ორგანოებთან, სახელმწიფო კანცელარიასთან, სამინისტროებთან, საქვეუწყებო დაწესებულებებთან, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან, ადგილობრივი წარმომადგენლობით ერთეულებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მერი საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, სულ მერიაში ფუნქციონირებს 8 სტრუქტურული ერთეული.

მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტურად წარმართის მიზნით ფუნქციონირებს 17 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და ერთი - შპს.

მერიაში შექმნილია და მოქმედებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებზე დაკისრებული ფუნქციების დროულ და ეფექტურ განხორციელებასა და დოკუმენტბრუნვის აღრიცხვიანობის საჯაროობას.

ჩვენ მჭიდრო ურთიერთობას ვინარჩუნებთ მოსახლეობასთან, თითქმის ყოველდღე უზრუნველვყოფდით მოქალაქეებთან შეხვედრას. ასევე, არის შემოღებული მიღების დღეები, კერძოდ სამშაბათი და ხუთშაბათი 12 საათიდან-15 საათამდე.

2025 წლის 9 თვის განმავლობაში შემოსული არის 6105 წერილი და კორესპოდენცია. მერიის

შესაბამისმა სამსახურებმა დადგენილ ვადებში უზრუნველყვეს შემოსულ წერილებზე პასუხების დაგზავნა და მიწოდება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

მერიაში საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-40 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული არის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. 2025 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში სხვადასხვა უწყებებიდან, ორგანიზაციებიდან, ფიზიკური პირებიდან შემოვიდა 17 განცხადება, შესაბამისად პასუხი დადგენილ ვადებში გაცემულ იქნა.

2. მუნიციპალიტეტის მერმა მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ურთიერთობის სფეროში განახორციელა შემდეგი საქმიანობა

საანგარიშო პერიოში მერის მიერ ინიცირებული იქნა 10 დადგენილების და 17 განკარგულების პროექტი.

3. მუნიციპალიტეტის მერმა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში განახორციელა შემდეგი საქმიანობა

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის N29 დადგენილებით დამტკიცდა ხონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი. სადაც, ბიუჯეტის პარამეტრები გაწერილი იყო შემდეგნაირად:

მთლიანი შემოსულობები 15 336,0 ათასი ლარი

გადასახადები 11952,6 ათასი ლარი

გრანტები 990.6 ათასი ლარი

სხვა შემოსავლები 540,0 ათასი ლარი

არაფინანსური აქტივების კლება 1852,8 ათასი ლარი

გადასახდელები 15336,0 ათასი ლარი.

ხარჯები 14004,6 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა 1280,0 ათასი ლარი.

ვალდებულებების კლება 51,4 ათასი ლარი.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის N29 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების შემდგომ 30 სექტემბრის მონაცემებით ბიუჯეტის პარამეტრები დაზუსტდა:

მთლიანი შემოსულობები 25457,9 ათასი ლარი:

გადასახადები 11952.6 ათასი ლარი.

გრანტები 12080,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები 588.8 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება 836,5 ათასი ლარი.

გადასახდელები 26438,0 ათასი ლარი.

ხარჯები 16336,1 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა 836.5 ათასი ლარი.

ვალდებულების კლება 51,4 ათასი ლარი.

2025 წელს ხონის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძვნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2025 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით მიღებული საკუთარი შემოსავლები:

1. ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი 35997,50 ლარი.
2. ა(ა)იპ - ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი 1400,0 ლარი.
3. ა(ა)იპ ხონის სამუსიკო სკოლა 90,0 ლარი
4. ა(ა)იპ ხონის სასაფლაო მეურნეობა 991,0 ლარი .
5. ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ხონის იმერეთი 45500.0 ლარი.
6. ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი ხონი 221,0 ლარი.
7. ა(ა)იპ ხონის კომუნალური სერვის ცენტრი 8670,0 ლარი
8. ა(ა)იპ ხონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 1280 ლარი.

9. ა(ა)იპ ხონის კულტურის ცენტრი 3980,0 ლარი.

10. ა(ა)იპ ხონის სათნოების სახლი 109875,0 ლარი.

11. ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა 1460,0 ლარი.

2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მესამე კვარტლის გადასახდელები:

ხონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 30 სექტემბრის მდგომარეობით გადასახდელები განისაზღვრა 26434.52 ათასი ლარით, ხოლო 9 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 16481,44 ათასი ლარი. წლიური გეგმის 62,3%. მათ შორის:

საანგარიშო პერიოდში ხარჯების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით განისაზღვრა:

1) „შრომის ანაზღაურების" მუხლი - წლიური გეგმიური მაჩვენებლი 2883,95 ათასი ლარით, რაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გასაწევი ,,ხარჯების" 17,34%-ს, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 10,9%-ს შეადგენს. საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯი შეადგენს 2051,99 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 71,0%-ია.

2) „საქონელი და მომსახურების" მუხლი - წლიური გეგმიური მაჩვენებლი 3202,85 ათასი ლარით, რაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული ,,ხარჯების" 19,25%-ს, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 12,11%-ს შეადგენს. საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯი შეადგენს 2226,07 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 70,0 %-ია.

3) „სუბსიდიების" მუხლი - წლიური გეგმიური მაჩვენებლი 7856,43 ათასი ლარით, რაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული ,,ხარჯების" 47,3%-ს, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 29,7%-ს შეადგენს. საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯი შეადგენს 5815,25 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 74,0 %-ია.

4) „გრანტების" მუხლი - წლიური გეგმიური მაჩვენებლი 19,34 ათასი ლარით, რაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული ,,ხარჯების" 0,11%-ს, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 0,08 %-ს შეადგენს. საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯი შეადგენს 14,8 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 77,0 %-ია.

5) „სოციალური უზრუნველყოფის" მუხლი - წლიური გეგმიური მაჩვენებლი 1132,4 ათასი ლარით, რაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული ,,ხარჯების" 6,82%-ს, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 4,28%-ს შეადგენს. საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯი შეადგენს 833,59 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 74,0%-ია. შეადგენს.

5) „სხვა ხარჯების" მუხლი - წლიური გეგმიური მაჩვენებლი 1493,9 ათასი ლარით, რაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული ,,ხარჯების" 9,0%-ს, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 5.65%-ს შეადგენს. საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯი შეადგენს 666,1 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 45,0%-ია.

6) ,,არაფინანსური ააქტივების ზრდის“ მუხლი - წლიური გეგმიური მაჩვენებლი 9784,2 ათასი ლარით, რაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 37,01 %- ს შეადგენს. საანგარიშგებო პერიოდში გაწეული გადასახდელები შეადგენს 4844,62 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 50%-ია.

2025 წლის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯი

2025 წლის ბიუჯეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი შეადგენს 200,0 ათას ლარს. გაწეული საკასო ხარჯი 187.395 ათას ლარს.

469 მოქალაქეს გაეწია დახმარება სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაზე ღირებულებით 169,455 ათასი ლარი.

6 ოჯახს დაუქირავდა საცხოვრებელი ბინა ღირებულებით 5640,0 ლარი.

5 ოჯახს გაეწია დახმარება 8200,0 ლარით ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ნაწილობრივ უზრუნველსაყოფად.

სარიტუალო ხარჯი 8 გარდაცვლილის (უპატრონო ან შეჭირვებული ოჯახის) 4,1 ათასი ლარი.

სახელმწიფო შესყიდვები

2025 წელს 9 თვის მანძილზე გამოცხადდა 58 ელექტრონული ტენდერი.

- შედგა - 41 ელექტრონული ტენდერი, აქედან:
  - 26 - ელ. ტენდერი სახელმწიფო ბიუჯეტით: 12 - რგფ; 4 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა; 1 - მოქალაქეთა ჩართულობა; 1 - სკოლები; 8-სტიქია;
  - 15 - ელ. ტენდერი ადგილობრივი ბიუჯეტით, აქედან 4 - ელ. ტენდერი სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტის ფარგლებში.
- არ შედგა - 9 ელ. ტენდერი - ტენდერში არცერთმა პრეტენდენტმა დააფიქსირა

  სავარაუდო ღირებულება.
  - უარყოფითი შედეგით დასრულდა - 6 ელ. ტენდერი.
  - შეწყდა - 2 ელ. ტენდერი.

- გამარტივებული შესყიდვის წესით დაიდო 152 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება;

- მონეტარული ზღვრის დაცვით - 77
- სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება - 22
- ექსკლუზივი - 1
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 35
- ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელები - 4
- დაყოფა გეოგრაფიული დაშორების პრინციპით - 9
- გადაუდებელი აუცილებლობა - 4

- კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე გაფორმდა - 12 ხელშეკრულება.
- დაჯარიმებული იქნა 6 მიმწოდებელი და გადახდილია პირგასამტეხლო 3 710 ლარის ოდენობით:

4. მუნიციპალიტეტის მერმა მუნიციპალიტეტის ქონების მართვის და განკარგვის სფეროში განახორციელა შემდეგი საქმიანობა

2025 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დავარეგისტრირეთ შემდეგი უძრავი ქონება

N	მისამართი და საკადასტრო კოდი	შენობა-ნაგებობა (ფართი კვ.მ)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართი კვ.მ)
1.	ხონი, აფხაზეთის ქ. N24 ს/კ 37.07.39.217	N01/1-509	592.0
2.	ხონი, აფხაზეთის ქ. N32 ს/კ 37.07.39.208	N01/3 -1119	457.0
3.	ხონი, აფხაზეთის ქ. N30 ს/კ 37.07.39.213	N01/2-1078	589.0
4.	ხონი, აფხაზეთის ქ. N9 ს/კ 37.07.39.209	N01 -1082	663.0
5.	ხონი, სოფელი გუბი ს/კ 37.12.32.551	---	668.0
6.	ხონი, რუსთაველის ქ.N2 ს/კ 37.07.38.591	---	237.0
7.	ხონი, ჭანტურიას III შეს. N7 ს/კ 37.07.38.1028	----	243.0
8.	ხონი, სოლომონ მე-2 ქუჩა ს/კ 37.07.38.1029	----	26.0
9.	ხონი, ი.აბაშიძის ქ. N11 ს/კ 37.07.39.313	---	474.0

10.	ხონი, რუსთაველის ქ.N4-ის ჩრდილო-დასავლეთით ს/კ 37.07.38.1036	----	172.0

2025 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დავარეგისტრირეთ შემდეგი მოძრავი ქონება

№	ქონების დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ღირებულება (ლარი)	ქონების აღწერილობა
1	ავტომანქანა ITALCAR ATTIVA NEV L6S.4	1	3000	სახელმწიფო №WI-774-IW, საიდენტიფიკაციო კოდი: ZLGP4E03214700006, გამოშვების წელი: 2015.
2	ავტომანქანა ITALCAR ATTIVA NEV L6S.4	1	3500	სახელმწიფო №WI-775-IW, საიდენტიფიკაციო კოდი: ZLGP4E03214700008. გამოშვების წელი: 2015.
3	ავტომანქანა KIA SPORTAGE	1	11500	სახელმწიფო №HL-890-LH, საიდენტიფიკაციო კოდი: KNAPB811CB7124425, გამოშვების წელი: 2011.
4	ავტომანქანა KIA OPTIMA	1	11000	სახელმწიფო №FY-179-YF, საიდენტიფიკაციო კოდი: KNAGN412BD5406038, გამოშვების წელი: 2013.
5	ავტომანქანა KIA PICANTO	1	7000	სახელმწიფო №ZJ-941-JZ, საიდენტიფიკაციო კოდი: KNABE511ACT132238, გამოშვების წელი: 2011.
6	ავტომანქანა KIA RIO	1	8600	სახელმწიფო №MM-429-VM, საიდენტიფიკაციო კოდი: KNADM512AC6007095,

7	ავტომანქანა KIA PICANTO	1	7300	სახელმწიფო №BB-487-CB, საიდენტიფიკაციო კოდი: KNABE511ACT132011,

2025 წელს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადავეცით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება

N	ორგანიზაციის დასახელება	მისამართი	ფართობი კვ.მ	საბალანსო ღირებულება	სარგებლობის ვადა (წელი)
1.	ა(ა)იპ ,,ხონის ინფორმატიკის ცენტრი“ ს/ნ 244973178	კაკაბაძის ქ. N17 ს/კ 37.07.38.618.01.515 37.07.38.618.01.516	ოთახები: 51.3 19.9	25650.0 ლარი 9950.0 ლარი	5
2.	სსიპ ,, დ. კაკაბაძის სახელობის სამხატვრო სკოლა.“ ს/ნ 244973258	შამათავას ქ. N10 ს/კ37.07.38.443.01.500	165.5	76110.56 ლარი	5
3	ა(ა)იპ ..საინფორმაციო ცენტრი ხონი“ ს/ნ 444957913	კაკაბაძის ქ. N17 ს/კ 37.07.38.618.01.514.	ოთახები N218, N219,N220 სულ-65.0 კვ.მ	32600.0	5
4	ა(ა)იპ ,, ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“ ს/ნ 244973187	შამათავას ქ. N14 ს/კ 37.07.38.471	შენობა 1132.4 კვ.მ	428647.0ლარი	10

5	ა(ა)იპ ,, ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“ ს/ნ 244973187	ჭანტურიას მე-3 შეს N7 ს/კ 37.07.38.472	შენობა 1164.8 კვ.მ	2813380.0 ლარი	10

ეკონომიკის სამსახური საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურ მუშაობას ახორციელებდა ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით, ორგანიზებას უწევდა სხვადასხვა არსასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრებს საჯარო სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლე ახალგაზრდობასთან. ასევე ხელმძღვანელობდა გარემოს დაცვით ღონისძიებებს- მათ შორის დასუფთავების აქციებს.

სამსახური მუშაობს მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირებისათვის სტატუსის მინიჭების საკითხებზე, ახორციელებს მონიტორინგს. სექტემბრის თვისათვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მისანიჭებლად შემოსულია 2 განცხადება, მიმდინარეობს მოკვლევა.

როგორც ცნობილია დაიწყო სოციალურად დაუცველი, შრომისუნარიანი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამა, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის პირს შეუძლია 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე. აღნიშნულ პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახის მომსახურეობას (ვაკანსიის მოძიება, მონიტორინგი, დოკუმენტაციის ატვირთვა და ა.შ). ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის სპეციალისტები ახორციელებენ.

დღეის მდგომარეობით სხვადასხვა ვაკანსიაზე დასაქმებულია 250 ადამიანი, ახალი ვაკანსიების რეგისტრაცია კი, მოთხოვნის შესაბამისად მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

5. მუნიციპალიტეტის მერმა აღმასრულებელი საქმიანობის სხვა სფეროში განახორციელა შემდეგი საქმიანობა

- **აუდიტისა და შიდა კონტროლის მიმართულებით**

-

ხონის მუნიციპალიტეტის მერიის „შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური“ ფუნქციონირებს 2014 წლის ოქტომბრიდან. სამსახური თავის საქმიანობაში ფუნქციურად დამოკიდებულია და ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

2025 წელს სამსახური მუშაობას წარმართავდა საშტატო განრიგით გათვალისწინებული ოთხი საშტატო ერთეულით (სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ორი უფროსი და ერთი უმცროსი სპეციალისტი)

შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური 2025 წელს მუშაობას წარმართავდა ხონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული, რისკ-ფაქტორების შეფასების საფუძველზე შემუშავებული 2025 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავდა მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების/ა(ა)იპ-ების წინა წელს გაწეული საქმიანობის შესწავლას და აუდიტორული შემოწმების დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

2025 წლის სამუშაო გეგმის თანახმად, შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურს ცხრა თვეში უნდა განეხორციელებინა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამი არასამეწარმეო/არაკომერციული იურიდიული პირის ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტორული შემოწმება. ეს ობიექტებია:

- ა(ა)იპ-ი „დავით კაკაბაძის სახელობის ხონის სამხატვრო სკოლა“
- ა(ა)იპ-ი საინფორმაციო ცენტრი ,,ხონი“
- შპს ,,აფხაზეთი''

აღნიშნული ობიექტების შემოწმება დასრულებული იქნა 2025 წლის სექტემბრის დასაწყისისთვის.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევები ჩვენს მიერ ასახული იქნა აუდიტორული შემოწმების ანგარიშებში.

გამოვლენილი დარღვევების გამოსწორების მიზნით აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიმართ გაცემული იქნა რეკომენდაციები, სულ გაცემული იქნა 16 რეკომენდაცია, მათ შორის 1 ვადიანი რეკომენდაცია, რომელიც ეხება ზედმეტად გაცემული თანხების უკან დაბრუნებას. აქედან ერთი ვადიანი რეკომენდაცია შესრულებული იქნა დროულად 2025 წლის 01ივლისამდე.

შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური, გარდა აუდიტორული შემოწმებებისა, მიმდინარე წლის ცხრა თვეში ახორციელებდა აუდიტორული შემოწმებების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

ა(ა)იპ-ი „ხონის ინფორმატიკის ცენტრი“ აუდიტორული შემოწმებისას გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის ჩატარებისას, შემოწმებული იქნა 5 (ხუთი) რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა. შემოწმებისას გამოვლინდა, რომ ხუთივე რეკომენდაცია აუდიტის ობიექტს შესრულებული აქვს.

ა(ა)იპ-ი „ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი“ აუდიტორული შემოწმებისას გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის ჩატარებისას, შემოწმებული იქნა 2 (ორი) რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა. შემოწმებისას გამოვლინდა, რომ ორივე რეკომენდაცია აუდიტის ობიექტს შესრულებული აქვს.

ა(ა)იპ-ი „იპოლიტე ხვიჩიას სახელობის ხონის კულტურის ცენტრი“ აუდიტორული შემოწმებისას გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის ჩატარებისას, შემოწმებული იქნა 2 (ორი) რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა. შემოწმებისას გამოვლინდა, რომ ორივე რეკომენდაცია აუდიტის ობიექტს შესრულებული აქვს.

ა(ა)იპ-ი „ხონის მთავარი ბიბლიოთეკა“ აუდიტორული შემოწმებისას გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის ჩატარებისას, შემოწმებული იქნა 2 (ორი) რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა. შემოწმებისას გამოვლინდა, რომ ორივე რეკომენდაცია აუდიტის ობიექტს შესრულებული აქვს.

რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ჩატარების შესახებ, ჩვენს მიერ იწერება ანგარიში, რომელიც მიეწოდება აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობას.

შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური წლის განმავლობაში გარკვეულ ყურადღებას უთმობს თანამშრომელთა პროფესიული დონის ამაღლებას. ამ მიზნით წლის დასაწყისში დამტკიცებული იქნა პროფესიული განვითარების ამაღლების გეგმა-გრაფიკი, რომელიც ითვალისწინებს ყოველთვიურად მეცადინეობის ჩატარებას გარკვეულ თემაზე, რომლის მომზადებაზეც პასუხისმგებელია აუდიტის თანამშრომელი.

შიდა აუდიტის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით შედგენილია ხარისხის კონტროლის პროგრამა და ყოველი ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შემდგომ ხდება მისი შევსება მასში მოცემული ინდიკატორების შეფასებით.

საქმიანობის შიდა შეფასებისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, აუდიტორული შემოწმების დასრულების შემდეგ აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელისგან ვითხოვთ ჩვენს მიერ გაწეული საქმიანობის შეფასებას.

2025 წლის სამუშაო გეგმის თანახმად, შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურს დაგეგმილი აქვს ოქტომბერის თვეში ა(ა)იპ-ი ისტორიული მუზეუმის აუდიტორული შემოწმების დასრულება, ხოლო ნოემბერ-დეკემბერში ა(ა)იპ-ი „სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახურის“ ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტორული შემოწმება

- ზედამხედველობის მიმართულებით

ზედამხედველობის სამსახური წარმოადგენს ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს კანონის, ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებისა და საკრებულოს მიერ დამტკიცებული სამსახურის დებულების შესაბამისად.

სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, სამსახურის შემადგენლობაში შედის სტრუქტურული ქვედანაყოფები; ა) მოსაკრებლების ორგანიზების უზრუნველყოფის განყოფილება

და ბ) სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილება, სამსახურში დასაქმებულია 5 (ხუთი) საჯარო მოსამსახურე.

მოგახსენებთ, რომ 2025 წლის საანგარიშო პერიოდში სამსახური მუშაობას ახორციელებდა საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად. ფუნქციების მიხედვით სამსახურს ევალება: ადგილობრივი მოსაკრებელის ამოღების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ზედამხედველობის განხორციელება, გარე რეკლამის განთავსების რეგულირება, გარე ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

2025 წლის ადგილობრივ მოსაკრებლებთან დაკავშირებით ჩატარდა აქტიური მუშაობა, სხვადასხვა სახის მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 50380 (ორმოცდაათიათასსამასოთხომოცი) ლარი. აქედან დასუფთავების მოსაკრებელი შეადგენს 28951 (ოცდარვაათასცხრაასორმოცდათერთმეტი) ლარს. საიჯარო ობიექტების ქირა 16934 (თექვსმეტიათასცხაასოცდათოთხმეტი) ლარია და მიწათსარგებლობის იჯარა 4495 (ოთხიათასოთხასოთხომოცდათხუთმეტი) ლარი.

მიმდინარე წელს შემოვიდა განაცხადი 3-ი (სამი) ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე მიღებულია სამივე შენობა-ნაგებობა. ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს კონტროლს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გარე იერსახის დაცვაზე, შენობა-ნაგებობების ფასადების, ვიტრინების და ჯიხურების ესთეტიკურ მდგომარეობის შესაბამისობაზე.

ჩვენი სამსახურის მიერ ფარულ სამუშაოებზე ზედამხედველობა გაეწია შემდეგი სახის პროექტებს: 2024-2025 წლების გარდამავლ პროექტებს, ქ. ხონი სოფელ კინჩხაფერდთან ასხის მთაზე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ქ, ხონი სოფელ გუბში გარე განათების სისტემების მონტაჟი. ქ. ხონი სოფელი ქვიტირის მე-13 ქუჩისა და სოფელი ივანდიდის პირველიშესახვევის გზების მოსაფალტება. ქ, ხონი სოფელი მათჯოჯის XIV ქუჩის მე- 2 ჩიხის და IV ქუჩის გზის მოსაფალტება. ქ. ხონი . ჭავჭავაძის ქუჩის სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია. ქ. ხონი ი. აბაშიძის ქუჩის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. ქ. ხონი ვ.ფშაველას ქუჩაზე სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. ქ. ხონი ი. ჭაჭავაძის ქ N2 -ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინების ფასადების რეაბილიტაცია. ქ. ხონი სოფელი გუბი მე-3 და მე-7 ქუჩების მოსაფალტება. ქ. ხონი სოფელი კუხი მე-8 ქუჩის გზის მოსაფალტება. ქ. ხონი სოფელი საწულუკიძეო მსხილაძეების უბანში გზის მოასფალტება. ქ ხონი წ. ნინოს ქუჩის მოასფალტება. ქ. ხონი სოლომონ მე-2 ქ. N21-ში მდებარე რეკრეაციული პარკის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. ქ. ხონი სოლომონ მე-2-ს ქუჩაზე საცხოვრებელი მრავალბინიანი კორპუსის სახურავის ნაწილობრივი შეკეთება, პარაპეტებისა და წყალშემკრებების რეაბილიტაცია ასევე სატრენაჟორო სივრცის მოწყობა. ქ. ხონი დ. აღმაშენებილის ქუჩაზე სკვერის მოწყობა. ქ. ხონი შ. რუსთაველის ქუჩაზე არსებული სკვერის მოწყობა რეაბილიტაცია. ქ, ხონი სოლომონ მე-2 ქუჩაზე მულტიფუნქციური სპორტულ გამაჯანსაღებელი რეკრეაციული სივრცის მოწყობა. ქ. ხონი სოფელი კონტუათი მე-4 ქუჩის მოასფალტება. ქ. ხონი სასპორტო სკოლის ეზოში ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნის მოწყობა. ქ. ხონი ჭანტურაიას ქუჩის მე-4 შესახვევის მოასფალტება. ქ. ხონი ბაგრატიონის ქუჩაზე მინი სტადიონის მოწყობა. ქ. ხონი ზ. კაკაბაძის ქუჩის მე-2 შესახვევის მოასფალტება.. ქ. ხონი სოფელ ივანდიდის ადმინისტაციული ერთეულის ბიბლიოთეკის შენობის სახურავის რეაბილიტაცია და ეზოს

შემორაგვის სამუშაოები. ქ ხონი სოფელი ივანდიდი მინი სტადიონის მოწყობა. ქ. ხონი სოფელ პატარა კუხში მინი სტადიონის მოწყობა.

2025 წელს სამსახური კვლავ განაგრძობს აქტიურ რეჟიმში მუშაობას, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლის ყველა წამოჭრილ პრობლემურ საკითხებს და განახორციელებს შესაბამის რეაგირებას.

- სოციალური მიმართულებით

	პროგრამის დასახელება 2025 წლის 9 თვის შედეგები	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა
		ბენეფიციარი	რაოდენობა	თანხა
1	მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	51 მშობელი	225 ბავშვი	11250
2	ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება	112		138375.34
3	სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსება/თანადაფინანსება	1442		266365,33
4	სოციალურად შეჭირვებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	----------		
5	სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	1 ოჯახი	3 ბავშვი	1500
6	შშმ. სტატუსის მქონე, 18 წლამდე ასაკის ბავშვების მეურვეზე/მზრუნველზე/მხარდამჭერზე ერთჯერადი ფულადი დახმარება	27	28 ბავშვი	5600
7	18 წლის ასაკის ზემოთ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობის მქონე,ცერებრალური დამბლით,დაუნის სინდრომით დაავადებული პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება		85 პირი	17000
8	ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით უზრუნველყოფა	--------	--------	-------
9	ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება	3		300
10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის,თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპული პირების	17		10500

	ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება			
11	მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფულადი დახმარება	50 მშობელი	86 ბავშვი	17200
12	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის,თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანების ერთჯერადი ფულადი დახმარება	262 ვეტერანი		26200
13	მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და მასთან გათანაბრებული პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება	1		150
14	„დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის"სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებულ ბენეფიციარებზე(ტრანსპორტირებისათვის) ყოველთვიური ფულადი დახმარება	13,14,15,16,17,18 თითოეულს 200 ლარი		27800
15	არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების „დღის ცენტრების"ყოველთვიური დაფინანსება	2		17000
16	სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანების(უნგრეთი და ავღანეთი)ერთჯერადი ფულადი დახმარება	11		1100
17	18 წლამდე ასაკის შშმ.პირების სასმენი აპარატის ნაწილების(სადენის,კვების წყაროს და საშრობი ტაბლეტის)დაფინანსება/თანადაფინანსება	4		2000
18	1-დან 18 წლამდე ასაკის ცელიაკიით დაავადებული ბავშვების ყოველთვიური ფულადი დახმარება.	2		4500
19	მხედველობით მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ყოველთვიური ფულადი დახმარება	48--46 თითოეულს 50 ლარი		21300
20	0-დან 15 წლამდე აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის დაფინანსება/თანადაფინანსება	17 თითოეულს 200 ლარი		31000
21	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის,თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად დაინვალიდებული ვეტერანების ერთჯერადი ფულადი დახმარება			
22	0-დან 18 წლამდე ასაკის დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიური ფულადი დახმარება	6		13500
23	0-დან 18 წლამდე ასაკის ეპილეფსიით დაავადებული ბავშვების ყოველთვიური ფულადი დახმარება	8 (200)		18000
24	15 წლამდე ასაკის ცერემბრალური დამბლით დაავადებული შშმ.პირების ერთჯერადი სეზონური საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსება(ბინის ქირით უზრუნველყოფა)	3 (300)		900
25	მშობელთა მზრუნველობამოკლებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვების მეურვეზე/მზრუნველზე ერთჯერადი ფულადი დახმარება	6---7 (150)	10---11	14400
სულ თანხის ჯამი:645940,67 (ექვსას ორმოცდახუთიათას ცხრაას ორმოცი ლარი და სამოცდაშვიდი თეთრი)				

N	პროგრამის დასახელება	დახმარებით მოსარგებლეთა რაოდენობა	გახარჯული თანხის რაოდენობა
1	გარდაცვლილი ვეტერანებისა და იძულებით გადაადგილებული პირების სარიტუალო მომსახურება	10	2500
სულ ჯამი:2500 (ორიათასხუთასი)			

N	წყალი	თანხა
1.	ს/დასახლების წყალი და კანალიზაცია 1715 ოჯახი	15435
2.	ქალაქის ტერიტორიაზე ომის ვეტერანთა და სოც.დაუცველი ოჯახების წყალი761 ოჯახი	6849

კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის მიმართულებით

კულტურა

საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებები განხორციელდა კულტურის სფეროს განვითარების მიმართულებით, მათ შორის აღსანიშნავია:

- პრემიერის ინიციატივით საახალწლო-საშობაო ღონისძიება ხონის ცენტრალურ მოედანზე, სადაც ადგილობრივ შემსრულებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თბილისიდან მოწვეულმა ცნობილმა ბენდებმა. ღონისძიება დატვირთული იყო არაერთი საახალწლო შოუ პროგრამით და აქტივობით, მოეწყო საახალწლო სოფელი, სადაც გაიმართა ადგილობრივ მეწარმეთა პროდუქტისა და ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

- გამომდინარე იქიდან, რომ წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში დატრიალდა დიდი ტრაგედია - ავტოავარიამ იმსხვერპლა სამი ახალგაზრდის სიცოცხლე, ვერ მოხერხდა ტრადიციული სახალხო დღესასწაულის - ,,ხონელობის" აღნიშვნა და ასევე, გაუქმდა მასშტაბური მუნიციპალური ღონისძიება ,,ბოლო ზარი".

- ყოველწლიურად იმართება რეგიონული თეატრალური ფესტივალი ,,თეატრალური იმერეთი". წელს ხონის სახალხო თეატრის მიერ წარმოდგენილი იყო სპექტაკლი-,,გაიღიმეთ, ჩიტი გამოფრინდება", რეჟისორი - გოჩა კაპანაძე.

- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გაიმართა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ჩატარდა სხვადასხვა სახის აქტივობა: საზეიმოდ მოეწყო ქალაქის ცენტრალური მოედანი, განთავსდა თემატური, ისტორიული კუთხეები და ბავშვთა გასართობი სივრცეები, თავდაცვის ძალების სამხედრო ტექნიკა, შეიარაღება და აღჭურვილობა; მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა და სხვ. ღონისძიების ბოლოს გაიმართა თბილისიდან ჩამოსული მუსიკოსების კონცერტი.

- ასევე, ფოლკლორის პოპულარიზაციისა და ტურიზმის განვითარების მიზნით, ხონმა უმასპინძლა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალს, რომელშიც ადგილობრივ ფოლკლორულ და ქორეოგრაფიულ ანსამბლებთან ერთად მონაწილეობდნენ იტალიის, ბურუნდის რესპუბლიკის, ინდონეზიის, თურქეთისა და პოლონეთის შემოქმედებითი ჯგუფები.

- გაიმართა არაერთი საინტერესო მუსიკალური პროექტი, რომელიც განხორციელდა საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებითა და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მათ შორის უნდა აღინიშნოს - ,,მუსიკალური ზაფხული - 2025" ქართველი მომღერლების მონაწილეობით, ღონისძიების წამყვანი იყო ნიკოლოზ წულუკიძე, რომელმაც მაყურებელს იმერული სიმღერების შემსრულებლების შესახებ ცნობილი და უცნობი ისტორიები მოუთხრო. ასევე, გაიმართა ინგა ბერაძისა და გიგი გეგელაშვილის კონცერტი - ,,ორი თაობა"- ქართული სიმღერის კვალდაკვალ, თემურ თათარაშვილის სოლო კონცერტი, მარჯანიშვილის თეატრის გასტროლი სპექტაკლით - ,,მეზუნია ჩიტები".

განათლება

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით გამოწვევები ეტაპობრივად ხორციელდება. თანამედროვე სტანდარტების დონეზე აშენდა და მიმდინარე სააღმზრდელო წლიდან ფუნქციონირებს სოფ. მათხოჯის საბავშვო ბაღი. ასევე, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქის N3 საბავშვო ბაგა-ბაღს. საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს საბავშვო ბაგა-ბაღების ავტორიზაციის პროცესი. ხონის მუნიციპალიტეტიდან ამ პროცესში ჩართულია ქალაქის N1 საბავშვო ბაღი, N2 და N3 საბავშვო ბაგა-ბაღები.

- 14 აპრილს, ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი, ა(ა)იპ კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ მთავარი ბიბლიოთეკა და ა(ა)იპ ისტორიული მუზეუმი. ღონისძიებაში მონაწილე ბავშვები დასაჩუქრდნენ ერთდღიანი ექსკურსიით.

სპორტი

- ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული, მუნიციპალიტეტის მკვიდრი მერაბ თუთისანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში; ქალთა დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება ფრენბურთში; სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (6 აპრილი) სასკოლო ჩემპიონატი ჭადრაკში; მოყვარულთა ლიგის გათამაშება დიდ ფეხბურთში 11X11; 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით და 17 ოქტომბერს ვეტერანთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით- სპორტული შეჯიბრი ნარდსა და შაშში; 23 ივნისს ოლიმპიზმის დღესთან დაკავშირებით ,,საფეხბურთო ფესტივალი ხონი 2025" (გოგონებს შორის). აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა მუნიციპალიტეტის გოგონათა საფეხბურთო გუნდები. გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სასკოლო ლიგა და თავისუფლების თამაშები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ასევე, ჩატარდა სოფლებში უბნის პირველობები. ჩატარდა მინიფეხბურთის ჩემპიონატი, რომელშიც ხონის გუნდმა რეგიონში პირველი ადგილი დაიკვა.

სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის მოსწავლე საბა ჩიხლაძე მსოფლიო ჩემპიონატზე ახალგაზრდებში მესამე ადგილის მფლობელი გახდა. ასევე, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ოთარ ბზიკაძე და შოთა კაკაბაძე მესამე ადგილის მფლობელები გახდნენ, ხოლო ჭადრაკში - ანასტასია მამულაძე საქართველოს ჩემპიონი.

წარმატებით მიმდინარეობს პროექტი რობერტ შავლაყაძის სახელობის სტიპენდიაზე, რომელშიც ჩართულები არიან ხონის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული სპორტსმენები. რობერტ შავლაყაძის სახელობის ყოველთვიური სტიპენდიის გაცემის წესის შესაბამისად, დაწესებული სტიპენტია გაიცა შემდეგ ძალოსან სპორტსმენებზე: მარიამ მურღვლიანზე (მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალოსანი), შოთა კაკაბაძესა (ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალოსანი) და ოთარ ბზიკაძეზე (საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის მფლობელი).

ახალგაზრდული საქმე

სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და პროექტების ხელშეწყობა. 12 აგვისტოს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა სხვადასხვა სპორტული და კულტურული აქტივობა. ასევე, მოეწყო ფოტოკონკურსი „იპოს" გამოფენა/დაჯილდოება. 2025 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ხონის მუნიციპალიტეტიდან ოთხმა ახალგაზრდამ (სსიპ აკაკი ჩხენკელის სახელობის ქ. ხონის N2 საჯარო სკოლა - ნინი კუხალაშვილი, ლიზი

ყურაშვილი, მარიამ წულაია; სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქ. ხონის N3 საჯარო სკოლა - ნატა ჯაიანი) მოიპოვა სწავლის დაფინანსების 100% - იანი გრანტი.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში ხონელი წარმატებული სტუდენტებისთვის დაწესდა ივანე შარაშიძის სახელობის სტიპენდია, ამ ეტაპზე გამოვლინდა 5 სახელობითი სტიპენდიანტი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ხონის ახალგაზრდული საბჭო, რომელიც ახორციელებს საინტერესო პროექტებს.

6. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორისა და არქიტექტურის სამსახური მუშაობას წარმართავს ხონის მუნიციპალიტეტის მერიისა და სამსახურის დებულებების, საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად.

2025 წელს სულ ხონის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი იყო 105 პროექტის განხორციელება ღირებულებით 7 903 594 ლარი.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვალის #23 დადგენილების შესაბამისად, 2025 წელს ხონის მუნიციპალიტეტში რგპფ-ს დაფინანსებით განხორციელდება 19 პროექტი. ძირითადად მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. სახელდობრ:

- ქ. ხონში, წმ ნინოს ქუჩის გზის რეაბილიტაცია
- ქ. ხონში, ზ. კაკაბაძის მე-2-ე შესახვევის მოასფატება
- გუბის ადმინისტრაციულ ერთეულში მე-3 და მე-7 ქუჩების მოასფალტება
- ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდ კუხში მე-8 ქუჩის მოასფალტება
- სოფელ საწულუკიძეოში მსხილაძეების უბნის გზის მოასფალტება
- ქ. ხონში, ჭანტურიას ქუჩის მე-7 ჩიხის მოასფალტება
- სოფელ ქუტირში მე-13 ქუჩის მოასფალტება
- ქ. ხონში, ჭავჭავაძის ქუჩაზე #2-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინების ფასადების რეაბილიტაცია
- ქ. ხონში, ჭავჭავაძის ქუჩაზე #4-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინების ფასადების რეაბილიტაცია
- სოფელ მათხოჯში 14-ე ქუჩის მეორე ჩიხისა და მე-6-ე ქუჩის მოასფალტება
- ქ. ხონში, ჭანტურიას ქუჩის მე-4-ე შესახვევის მოასფალტება
- სოფელ ივანდიდში პირველი ქუჩის პირველი შესახვევის მოასფალტება
- სოფელ მათხოჯში მე-15-ე ქუჩის გზის რეაბილიტაცია

- სოლომონ მეორის ქუჩა N7 მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში გახსნილი კედლის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები, სახურავის ნაწილობრივი შეკეთება, პარაპეტებისა და წყალშემკრების რეაბილიტაცია
- სოფელ კონტუათში მე-4-ე ქუჩის გზის რეაბილიტაცია
- ქ. ხონში,თამარ მეფის ქუჩისა და კონტუათის მე-3 ქუჩის დაკამაკავშირებელი გზის მოასფალტება
- სოფელ ნახახულევში ეძგვერაძეების უბნის მე-14-ე და მე-2 ქუჩების (ეძგვერაძეების უბანი) გზის მოასფალტება
- ქ. ხონში, ირ. აბაშიძის ქუჩისა და ქარჩხაბის ახალი სასაფლაოს დამაკავშირებელი გზის მოასფალტება
- ქ. ხონში, ქუთაისი(ავტოქარხანა)-ხონი-სამტრედიის საავტომობილო გზის პკ 20-22 კმ-მდე და ხონი-მათხოჯი-მარტვილის საავტომობილო გზის მე-4 კმ-დან მე-9 კმ-მდე გარე განათების სისტემის მოწყობა

სულ მოასფალტებული იქნება 23.223 გრძ/მ გზა, ამჟამად საკასო შესრულებამ შეადგინა 3 682 069 ლარი, დასრულებულია 13 პროექტი, 2 პროექტზე მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად მიმდინარე წელს გამოყოფილი იქნა 470 000 ლარი, სულ განხორციელდება 44 პროექტი. მოეწყო გარე განათების სისტემები, კეთილმოეწყო შიგა სასოფლო გზები და განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. 2025 წელს დასრულებულია 22 პროექტი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობდა და მიმდინარე წელსაც გაგრძელდება სოფელ კინჩხაფერდიდან ასხის მთაზე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოეწყო 7 კმ გზა, ღირებულებით 1 000 000 ლარი. მათ შორის 2024 წელს მოეწყო 7 კმ გზა, ღირებულებით 1 000 000 ლარი. სულ მოწყობილია 14 კმ გზა.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად გამოყოფილი თანხის საშუალებით განხორციელდა 13 პროექტი ღირებულებით 1 280 170 ლარი. სახელდობრ:

- ქ. ხონში, ირ. აბაშიძის ქუჩის მარჯვენა მხარის, ირ. აბაშიძის ქუჩის პირველი შესახვევის, ირ. აბაშიძის ქუჩისა და ვაჟა-ფშაველას დამაკავშირებელი სანიაღვრე არხების და ჭავჭავაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაციისა და ცხაურის მოწყობის სამუშაოები.
- სპეც. ტექნიკის (თვითმცლელის, ექსკავატორ-დამტვირთველის (4 ბორბლიანი) და ექსკავატორი (მუხლუხა) და მათი ოპერატორის დაქირავების შესყიდვა.
- ქ. ხონში, სოლომონ მეორის ქუჩის N21-ში მდებარე რეკრაციული პარკის მიმდებარედ, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.
- სპეც. ტექნიკით - მუხლუხა ექსკავატორით გზების გაწმენდა თოვლისგანსპეც. ტექნიკით - მუხლუხა ექსკავატორით გზების გაწმენდა თოვლისგან
- სპეც. ტექნიკით - მუხლუხა ექსკავატორით გზების გაწმენდა თოვლისგანსპეც. ტექნიკით - მუხლუხა ექსკავატორით გზების გაწმენდა თოვლისგან
- სპეც. ტექნიკით - მუხლუხა ექსკავატორით გზების გაწმენდა თოვლისგანსპეც. ტექნიკით - მუხლუხა ექსკავატორით გზების გაწმენდა თოვლისგან
- სპეც. ტექნიკით - მუხლუხა ექსკავატორით გზების გაწმენდა თოვლისგანსპეც. ტექნიკით - მუხლუხა ექსკავატორით გზების გაწმენდა თოვლისგან

- სპეც. ტექნიკით - მუხლუხა ექსკავატორით გზების გაწმენდა თოვლისგანსპეც. ტექნიკით - მუხლუხა ექსკავატორით გზების გაწმენდა თოვლისგან
- მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა კინჩხაში არსებული ბეტონის გზის აღდგენის სამუშაოები (გაბიონის მოწყობა)
- ქ. ხონში, წმინდა ნინოს, ნუცუბიძის და გურამიშვილის ქუჩების სანიაღვრე არხებისა და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია.
- ხონის მუნიციპალიტეტში, დანართის შესაბამისად, სხვადასხვა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ექსპერტიზის დასკვნით).
- ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებისთვის სანიაღვრე ბეტონის მილების (ორმაგი არმირება) მოწოდების უზრუნველყოფა.
- ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. გოჩა ჯიხაიშის და სოფ. პატარა ჯიხაიშის დამაკავშირებელ გზაზე მილხიდის მოწყობის სამუშაოები.

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით განხორციელდა 7 პროექტი ღირებულებით 163 096 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დასრულდა სოფელ მათხოჯის საბავშვო ბაღის მშენებლობისა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა #3 საბავშვო ბაღს და ქ. ხონში პირველი საჯარო სკოლას.

,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის" ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესაბამისად განხორციელდა 20 პროექტი, ღირებულებით 118 904 ლარი. კერძოდ:

- ქ. ხონში გარე განათების სისტემის რეაბილიტაციისა და სოფელ გოჩა-ჯიხაისში ანდრიაძეების მინდვრის შემოღობვისთვის საჭირო მილების შესყიდვა-მოწოდება
- სოფ. ივანდიდში, ხიდ-ბოგირის რეაბილიტაციისთვის საჭირო სხვადასხვა მასალების შესყიდვა-მოწოდება
- სოფ. ივანდიდში, ხიდ-ბოგირის რეაბილიტაციისთვის საჭირო სხვადასხვა მასალების შესყიდვა-მოწოდება
- ქ. ხონში, გარე განათების სისტემისთვის 10 ერთეული 150 ვატიანი ნათურის (3 ჩიპიანი) მოწოდება (CPV31500000 - გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები; 31527210 - ლამპიონები), დანართი N1-ს შესაბამისად.
- სოფელ დიდ კუხში არსებული თვითნებური ნაგავსაყრელის გასასუფთავებლად საჭირო მუხლუხა ესკავატორის და სატვირთო ავტომანქანის (თვითმცლელი) დაქირავება ოპერატორთან ერთად - 2 (ორი) დღით
- სოფელ გუბში, სოფელ გოჩა ჯიხაიშში (გოგავების უბანში), სოფელ ივანდიდში, ქ. ხონში: აბაშიძის, წმინდა ნინოს, ქაცარავას, იპ. ხვიჩიას, ვ. ბახტაძის, დევნილთა დასახლებაში - 144 გრძ/მ სიჩქარის შემზღუდველი პლასმასის ბარიერების მოწოდება-მონტაჟი
- სოფელ გოჩა-ჯიხაიშში, ანდრიაძეების მინდვრის შემოღობვისთვის საჭირო 10მ3 ქვიშახრეშის შესყიდვა-მოწოდება
- 25 ცალი 1100 ლიტრიანი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერის შესყიდვა
- სოფელ გოჩა-ჯიხაისში ცაგარეიშვილების და საღარაძეების უბანში, სტადიონების რეაბილიტაციისთვის რკინის მილების შესყიდვა-მოწოდება

- სოფ. ქუტირში სტადიონის და სოფ. პატარა ჯიხაიშში ანაზაურის მინდვირის შემოსაღობად, ხოლო სოფელ გორდში სკოლასთან და ბაღთან არსებული კიბის სახელურების მოსაწყობად საჭირო მილ-კვადრატების შესყიდვა-მოწოდება
- სოფელ გოჩა ჯიხაიშში, კუხში, ქუტირში, ზედა გორდში (გელენიძეების უბანში) და ჩუნეშში გარე განათების სისტემის მოსაწყობად საჭირო ელ. სადენების - ალუმინის ელ. სადენი 2 წვერიანი 16 მმ კვეთა (სიპ. კაბელი), შესყიდვა
- სოფ. ქუტირში, სოფ. პატარა ჯიხაისში, ქ. ხონში ჭითას მინდორზე და კაკაბაძის ქუჩაზე მდებარე სტადიონებისთვის ფეხბურთის კარის ბადეების მოწოდება
- ქ. ხონში და მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განატების სისტემის მოსაწყობად სხვადასხვა დასახელების გასანათებელი საშუალებების მოწოდების უზრუნველყოფა
- ქ. ხონში, თავისუფლების მოედანი N3, N6, N7, N9, N11, N12-ში, მოსე ხონელის N1 და N3, ჭანტურიას ქ.N10-ში და N10-ს გაგრძელებაზე მდებარე საცხოვრებელ კორპუსებზე, დიოდური განათების ლენტების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება ექსპერტიზის ჩათვლით
- ქ.ხონში ნუცუბიძის ქუჩაზე ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები
- სოფელ ივანდიდში, მინი სტადიონზე ხელოვნური საფარის ქვეშ მოსაწყობად, 60 კუბ.მ, 0.6 მმ-იანი ფრაქციის ღორღის მოწოდების უზრუნველყოფა,
- ქ. ხონში, თავისუფლების მოედანი N3, N6, N7, N9, N11, N12-ში, მოსე ხონელის N1 და N3, ჭანტურიას ქ.N10-ში და N10-ს გაგრძელებაზე მდებარე საცხოვრებელ კორპუსებზე, დიოდური განათების ლენტების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება ექსპერტიზის ჩათვლით
- ხონის მუნიციპალიტეტში, სოფელ პატარა ჯიხაიშში ანაზაურის მინდვრის და სოფელ ქუტირსა და გოჩა ჯიხაისში, საღარაძეების მინდორზე მდებარე მინი სტადიონების შემოსაღობად საჭირო მავთულბადის მოწოდების უზრუნველყოფა
- ქ. ხონში ნუცუბიძის ქუჩაზე ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-სა, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები“-ს შესაბამისად:

2025 წელს გაცემულია 8 მე-2 და მე-3 კლასის მშენებლობის ნებართვა (პირველი და მე-2 სტადია), ხოლო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცდა პირველ სტადიაზე 6 ობიექტისთვის.

მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა გაუგრძელდა 1 ობიექტს:

მარტივი შეტყობინების წესით შეთანხმებულია 39 ახალი აბონენტის გარე ელექტრომომარაგების უზრუნველყოფისთვის ელექტროგადამცემი ხაზის, გაზმომარაგების ობიექტისა და ინტერნეტის უზრუნველსაყოფად ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზის მშენებლობა.

ასევე მარტივი შეტყობინების წესით შეთანხმებულია 23 პირველი კლასის შენობა/ნაგებობა.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 აგვისტოს №18 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის დეტალური შეტყობინებით შეთანხმებულია 3 მე-2 კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის და 2 დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობება.

აქედან შემოსულმა მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის ოდენობამ 2025 წლის სექტემბრის ჩათვლით ჯამში შეადგინა 8 300 ლარი. მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრულია ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებით.

7. მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერის მიერ ინიცირებული საკითხები:

დადგენილების პროექტები:

1. ,,ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ";

2. ,,ხონის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ";

3. „ხონის მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 მარტის №11 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

4. ,,ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ";

5. ,,ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ";

6. ,,ხონის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ";

7. ,,ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობისა და იმ დასახლებების განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა";

8. ,,ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ";

9. ,,ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ";

10. ,,ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე".

განკარგულებები

1. „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტს.
2. ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი შენობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი;
3. წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ განკარგულების პროექტი;
4. საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ განკარგულების პროექტი.~
5. ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში განთავსებული სხვა პირ ის მოძრავი ნივთების მუნიციპალიტეტის მერიისათვის დროებით მიბარების ფორმით მიღე ბაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტს.
6. ,,ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტს.
7. ,,ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტს.
8. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის #53 განკარგულების შესაბამისად, 2025 წელს ხონის მუნიციპალიტეტი სოფლებში შერჩეული და განსახორციელებელი პროექტების ნუსხის მოწონების შესახებ;
9. ხონის მუნიციპალიტეტის მერის და მერიის სამსახურების ანგარიშების განკარგულების პროექტები (9 განკარგულება).

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა 10 დადგენილება და 17 განკარგულება.

8. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საანგარიშო პერიოდში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების რაოდენობა:

საანგარიშო პერიოდში გამოცემულ იქნა - 1324 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება).

9. **მუნიციპალიტეტის მერის მიერ საანგარიშო პერიოდში დადებული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების რაოდენობა.**

საანგარიშო პერიოდში დადებულ იქნა 3 მემორანდუმი.

10. **მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 197 (აღსანიშნავია რომ ეს ციფრი აღნიშნავს იმ მოქალაქეთა რაოდენობას რომლებიც ოფიციალურად გამოყოფილ დღეებში დარეგისტრირდნენ მერთან მიღებზე).**

11. **მოქალაქეთა პრობლემებზე მერის მიერ რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი საკითხები)**

2025 წელს 9 თვის განმავლობაში მოქალაქეთა მიერ სხვადასხვა ფორმით (სოფლის კრება,დასახლების კრება და ა.შ.)

სოფლის კრება ჩატარდა 26 სოფელში,

კონსულტაცია 11 სოფელში.

წარდგენილ იქნა 84 წინადადება, ამათგან უარყოფითად გადაწყდა 40 საკითხი, დადებითად გადაწყდა 44 წინადადება, გადაწყვეტილების შესახებ ეცნობათ ადრესატებს, ოქმები ატვირთულია ხონის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

შევსების თარიღი: 27 ოქტომბერი 2025წ.

წარდგენის თარიღი: 28 ოქტომბერი 2025წ.

ხელმოწერა: